



**საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
თავმჯდომარის 2024 წლის 16 ოქტომბრის N04/1008 ბრძანების შესაბამისად
განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული
გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების, მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი, მეორე პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 ოქტომბრის N 04/1008 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით.
2. არ დადასტურდეს შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევა.
3. არ დადასტურდეს შპს „ზუნდაგის“ (ს/ნ 245400310) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა.
4. დამტკიცებული გადაწყვეტილება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოს წინამდებარე ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ეკონომიკურ აგენტებს.




5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2025 წლის 17 სექტემბრის N03/1336 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების საგარეუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 ოქტომბრის N 04/1008 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

თბილისი

2025

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი.....	1
1. საჩივრის შინაარსი.....	1
2. მოკვლევის მხარეებისგან, სხვა ეკონომიკური აგენტებისგან და მუნიციპალიტეტებისგან მიღებული ინფორმაცია.....	2
3. საკონსულტაციო შეხვედრები.....	5
3.1. საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან.....	5
3.2. საკონსულტაციო შეხვედრები თევზის იმპორტიორ სუბიექტებთან.....	6
3.2.1. შეხვედრა შპს „ფორ სიზ თრეიდინგთან“	6
3.2.2. შეხვედრა შპს „იაზიჯი 2022“-თან.....	7
3.3.3. საკონსულტაციო შეხვედრები დახლის წარმომადგენლებთან.....	7
4. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები.....	8
4.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან	8
4.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხეებთან.....	9
4.2.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს „გოლდენ ფიშ ბათუმთან“	9
4.2.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს „ზუნდაგთან“	9
თავი II. ნორმატიული რეგულირება.....	10
1. ზოგადი მატერიალური რეგულირება.....	10
2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.....	11
3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები	13
4. პროცედურული რეგულირება	17
5. თევზის იმპორტთან, უვნებლობასთან და რეალიზებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.....	19
თავი III. შესაბამისი ბაზარი	23
1. პროდუქციული საზღვრები.....	24
2. გეოგრაფიული საზღვრები	26
3. დროითი ჩარჩო.....	27
თავი IV. შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები	27
თავი V. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.....	30
1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - ზოგადი მიმოხილვა.....	30

2. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ საბაზრო ძალაუფლების მასშტაბი	32
შუალედური დასკვნა.....	33
თავი VI. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის საგარეუდო დარღვევის ფაქტზე	34
1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - ზოგადი მიმოხილვა.....	34
2. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები	36
2.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია	37
ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი	38
ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა.....	39
2.2 ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება	41
ა) ხელშეკრულების დადება ან გადაწყვეტილების მიღება.....	41
ბ) შეთანხმებული ქმედება.....	42
2.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა.....	42
2.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა	43
3. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება.....	43
3.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი.....	43
3.2. „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები.....	47
3.3. შპს „ზუნდაგსა“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის ურთიერთობის საგარეუდო ექსკლუზიური ხასიათი.....	50
თავი VII. შემაჯამებელი სხდომა	53
დასკვნა.....	55
სარეზოლუციო ნაწილი.....	56

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2024 წლის 30 აგვისტოს შპს „პოსეიდონი 2022“-ის (ს/ნ 448058262) (შემდგომში - მომჩივანი/შპს „პოსეიდონი 2022“) მიერ წარმოდგენილ იქნა საჩივარი (რეგ. N 01/4411), რომელიც შეეხებოდა შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), მე-7 (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება), მე-11¹ და 11³ (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ფორმალური სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შედეგად გაირკვა, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს, რის საფუძველზეც მომჩივანს საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი.¹ აღნიშნული ხარვეზი მომჩივანის მიერ შეივსო და სააგენტოში საჩივარი სრულყოფილი სახით წარმოდგენილ იქნა 2024 წლის 03 სექტემბერს (რეგ. N 01/4470).

წარმოდგენილი საჩივარი ეხებოდა მოპასუხეების - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) (შემდგომში - მოპასუხე/შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“) და შპს „ზუნდაგის“ (ს/ნ 245400310) (შემდგომში - მოპასუხე/შპს „ზუნდაგი“) მიერ კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს, ხოლო შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) ნაწილში, დამატებით, ამავე კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტსაც.

მომჩივანის განცხადებით, ქალაქ ბათუმში მდებარეობს ე.წ. მელკიმორიის თევზის ბაზარი, რომელიც არის შპს „ზუნდაგის“ საკუთრებაში. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული ტერიტორია წლებია ფუნქციონირებს და მასზე განთავსებულია სავაჭრო დახლები, რომლებზეც ქვემოიჯარეები ეწევიან სავაჭრო საქმიანობას.

საჩივარში შპს „პოსეიდონი 2022“ მიუთითებს, რომ ის როგორც იმპორტიორი და დისტრიბუტორი, სხვა კომპანიების მსგავსად, თევზის სხვადასხვა სახეობით ამარაგებდა აღნიშნული ბაზრობის დახლების წარმომადგენლებს.

¹ სააგენტოს 2024 წლის 03 სექტემბრის N 02/3225 წერილი.

მომჩივანი აცხადებს, რომ 2024 წლის 01 თებერვალს შპს „გოლდენ ფიშ ბათუმმა“, რომელიც მის კონკურენტ კომპანიას წარმოადგენს, შპს „ზუნდაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იჯარით აიღო ბაზრობის ტერიტორია. მომჩივნის მტკიცებით, შპს „გოლდენ ფიშ ბათუმმა“ შეუზღუდა ყველა სხვა კომპანიას ბაზრობის ტერიტორიაზე საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, რითაც დაარღვია კონკურენცია. შპს „პოსეიდონი 2022“ ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხემ ზეწოლის გზით დაავალდებულა დახლების წარმომადგენლები, ზღვის პროდუქცია შეეძინათ მხოლოდ მისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ბაზრობიდან გაძევებით დაემუქრნენ. მომჩივანი მიუთითებს, რომ აღნიშნული მოვლენების შემდეგ, მისი პროდუქციის მიწოდება ბაზრის ტერიტორიაზე შეწყდა.

საჩივარში მითითებულია, რომ არსებობს ეჭვი შპს „ზუნდაგსა“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის კონკურენციის შემზღუდველი ფარული გარიგების არსებობაზე. მომჩივანის განმარტებით, შპს „ზუნდაგის“ წარმომადგენელი ამავედროულად არის შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ წარმომადგენელიც, რომელიც ბაზრობაზე ყოველდღიურად აგროვებს დახლით სარგებლობის ე.წ. ჩეკებს და ირიბად არის ჩართული ბაზრობის საქმიანობაში.

მომჩივანი აცხადებს, რომ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმმა“ შეზღუდა თავისუფალი კონკურენცია თევზის ბაზრობის ტერიტორიაზე. მისი შეფასებით, მოპასუხეს დომინანტური მდგომარეობა უკავია ბაზარზე და ბოროტად სარგებლობს აღნიშნული პოზიციით, რაც გამოიხატება სხვა კომპანიებისთვის საქმიანობის ხელშეშლაში.

აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის N04/1008 ბრძანების შესაბამისად, 2024 წლის 16 ოქტომბერს სააგენტომ საქმის მოკვლევა დაიწყო კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

2. მოკვლევის მხარეებისგან, სხვა ეკონომიკური აგენტებისგან და მუნიციპალიტეტებისგან მიღებული ინფორმაცია

სააგენტოს წერილით² შპს „ზუნდაგს“ ეთხოვა მასსა და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულების წარმოდგენა, რომლის საფუძველზეც შპს „ზუნდაგმა“ იჯარით გასცა ბაზრობის ტერიტორია ე.წ. მეღვინეობის თევზის ბაზარი. შპს „ზუნდაგის“ მიერ წარმოდგენილ იქნა³ შესაბამისი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების სრულყოფილად წარმოდგენის დაზუსტების მიზნით, სააგენტომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან გამოითხოვა მოპასუხეთა შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ

² სააგენტოს 2024 წლის 25 სექტემბრის N 02/3544 წერილი.

³ შპს „ზუნდაგის“ 2024 წლის 01 ოქტომბრის N 01/4973 წერილი.

წარმოდგენილი⁴ დოკუმენტის ასლით დგინდება, რომ შპს „ზუნდაგმა“ იჯარის ხელშეკრულება სრულად წარმოადგინა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 01 თებერვალს, 3 წლის ვადით, ხოლო შეთანხმების საგანს წარმოადგენს 480.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 441.48 კვ.მ. შენობა-ნაგებობის იჯარის საფუძველზე გადაცემა.

[REDACTED]

მომჩივანი აღნიშნავს, რომ მისი იმპორტირებული თევზის დაახლოებით [REDACTED] იყიდებოდა მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიაზე. რაც შეეხება გეოგრაფიული დაფარვის არეალს, თევზის მიწოდება ხორციელდება [REDACTED], სადაც იმპორტირებული პროდუქციის წილი შეადგენს დაახლოებით [REDACTED]

მომჩივანი განმარტავს, რომ ბაზრობის ტერიტორიაზე თევზის მიწოდების შეზღუდვის შემდეგ, მისი პროდუქციის დისტრიბუცია [REDACTED]

2024 წლის 10 სექტემბრის კორესპონდენციაში (რეგ. N01/5411) მომჩივანი ასევე განმარტავს, რომ შპს „პოსეიდონი 2022“ ახორციელებს [REDACTED] კერძოდ, [REDACTED]

მომჩივანის განმარტებით, 2024 წლის 01 თებერვლამდე, სანამ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ უარს ეტყოდა მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიაზე დაშვებაზე, ზღვის პროდუქტების მიწოდება ხდებოდა უშუალოდ ბაზრობის დახლების წარმომადგენლებთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ურთიერთობა არ ითვალისწინებდა ბაზრობის ადმინისტრაციის ან სხვა მესამე პირის წერილობით თანხმობას.

შპს „პოსეიდონი 2022“-ის განცხადებით, მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიაზე თევზისა და ზღვის პროდუქტების მიწოდება მიმწოდებლებისთვის დამატებითი საფასურის დაწესების გარეშე ხორციელდებოდა. დახლების წარმომადგენლები კი, ბაზრობის მფლობელთან ანგარიშსწორებას ყოველდღიურად ახორციელებდნენ ე.წ. „ჩეკის ფულის“ სახით. კომპანიის ცნობით, 2024 წლის მარტის შემდეგ მას ზღვის პროდუქტები მელკიმორიის ბაზრობისთვის აღარ მიუწოდებია.

სააგენტოში წარმოდგენილ წერილებში⁵ შპს „ზუნდაგი“ აფიქსირებს, რომ მისი მხრიდან შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება არ არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას. მოპასუხე მიიჩნევს, რომ ორ ეკონომიკურ სუბიექტს შორის არსებული საიჯარო ურთიერთობები არ განეკუთვნება კანონის რეგულირების საგანს.

⁴ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 07 ოქტომბრის N 01/5103 წერილი.

⁵ შპს „ზუნდაგის“ 2024 წლის 21 ოქტომბრის N01/5310; 2024 წლის 18 ნოემბრის N01/6829 წერილები.

ამასთან, შპს „ზუნდაგი“ აცხადებს, რომ საიჯარო ფართის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა მოიჯარის გადასაწყვეტია და ის, როგორც მეიჯარე, ამ უფლებამოსილებაში არ ერევა. შპს „ზუნდაგმა“ ასევე წარმოადგინა იმ პირებთან დადებული იჯარის ხელშეკრულებები, რომლებზეც 2022 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში ე.წ. მელკიმორიის ბაზრობა ხელშეკრულების საფუძველზე დროებით სარგებლობაში იყო გადაცემული.

საჩივრის დასაშვებობის განხილვის პროცესში გამოკვეთილი გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და დაზუსტების მიზნით, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან გამოთხოვილ იქნა⁶ იმ ეკონომიკური აგენტების ჩამონათვალი, რომლებიც 2022, 2023 და 2024 წლებში აწარმოებდნენ თევზის, კერძოდ, სიბასის, დორადოსა და ორაგულის იმპორტს საქართველოს ტერიტორიაზე, იმპორტირებული თევზის რაოდენობის და საფასურის მითითებით, რის საპასუხოდაც წარმოდგენილ იქნა⁷ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ელექტრონული ბაზების მიხედვით.

სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა თევზის იმპორტიორი ეკონომიკური აგენტები. მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ აღნიშნული კომპანიებისგან მიიღო ინფორმაცია მათი საქმიანობის სფეროს, იმპორტირებული თევზის სახეობების, საქმიანობის ტიპის (საბითუმო, საცალო ან/და ჰიბრიდული), ასევე თევზის მიწოდების გეოგრაფიული არეალის შესახებ.

დამატებით, სააგენტომ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან გამოითხოვა ინფორმაცია იმ ეკონომიკური აგენტების შესახებ, რომლებმაც 2024 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სიბასის, დორადოს, ორაგულის, ხოლო 2022–2024 წლებში კალმახის იმპორტი განახორციელეს, იმპორტირებული თევზის მოცულობისა და ღირებულების მითითებით.⁸

მოკვლევის ფარგლებში შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენის მიზნით, სააგენტოს მიერ ყველა სახელმწიფო რწმუნებულისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია არსებული ორგანიზებული სავაჭრო სივრცე(ებ)ის თაობაზე, რომლებიც ახორციელებენ თევზის რეალიზაციას ან/და ეწევიან ე.წ. მელკიმორიის ბაზრის მსგავს საქმიანობას. სააგენტომ აღნიშნული სახელმწიფო რწმუნებულებისგან შესაბამისი ინფორმაცია მიიღო.

⁶ სააგენტოს 2024 წლის 25 სექტემბრის N02/3533 წერილი.

⁷ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 3 ოქტომბრის N21-10/74614 წერილი.

⁸ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2025 წლის 29 იანვრის N 21-10/4912 წერილი.

3. საკონსულტაციო შეხვედრები

3.1. საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან

სააგენტოში 2025 წლის 29 იანვარს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან.⁹

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, თევზის იმპორტი ექვემდებარება ნებართვას. ნებართვა გაიცემა ვეტერინარული სერტიფიკატის ასლის საფუძველზე, თევზის ყოველ შემოტანაზე ერთჯერადად. რაც შეეხება ნორმატიულ რეგულირებას, იმპორტის ნაწილში, სურსათის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებით, რომელიც, მათ შორის, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.¹⁰

შეხვედრის ფარგლებში განიმარტა, რომ სურსათის მიმართ ჰიგიენური და სანიტარული მოთხოვნები დგინდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173-ე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების - სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის საფუძველზე. საგულისხმოა, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესები ვრცელდება სურსათის წარმოების ყველა, მათ შორის, პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპზე. ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებაზე, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალურ წესებსა და მოთხოვნებს იმ ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც ეწევიან ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას. სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მითითებული იქნა, ასევე, სურსათის უვნელობისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედ შემდეგ კანონქვემდებარე აქტებზე: მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ; მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ და მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ.¹¹

⁹ საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1 (თარიღი: 29.01.2025).

¹⁰ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, საკონსულტაციო შეხვედრა N1, 05:00-10:35.

¹¹ იქვე, 11:15-15:10.

3.2. საკონსულტაციო შეხვედრები თევზის იმპორტიორ სუბიექტებთან

მოკვლევის ფარგლებში სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის¹² საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე თევზის იმპორტით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტები. აღნიშნულ კომპანიებს შორის გამოვლინდა რამდენიმე ბიზნეს სუბიექტი, რომლებიც თევზის მიწოდებას, მათ შორის, მელკიმორიის ბაზრობისთვისაც ახორციელებდნენ.

3.2.1. შეხვედრა შპს „ფორ სიზ თრეიდინგთან“

2025 წლის 4 თებერვალს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შპს „ფორ სიზ თრეიდინგთან“.¹³

კომპანიის განმარტებით, ის ბაზარზე ოპერირებს 2017 წლიდან, ხოლო მელკიმორიის ბაზრობასთან თანამშრომლობა სისტემატიურ სახეს 2018 წლიდან იღებს. კომპანია [REDACTED] აწვდიდა ბაზრის ტერიტორიას თევზს. მიწოდების პროცესში კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდებოდა უშუალოდ დახლების წარმომადგენლებთან (დაახლოებით 2-3 ობიექტთან), ხოლო პირდაპირი კავშირი შპს „გოლდენ ფიშ ბათუმთან“ ან შპს „ზუნდაგთან“ კომპანიას არ ჰქონია. ყველა მიწოდება აღირიცხებოდა შესაბამისი ზედნადებით.¹⁴

[REDACTED]
[REDACTED]
[REDACTED]¹⁵ შპს „ფორ სიზ თრეიდინგის“ განმარტებით, 2024 წლის თებერვლიდან შეეზღუდა წვდომა ბაზრობაზე და მას შემდეგ ვეღარ შეჰქონდა პროდუქცია. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც კომპანიის დისტრიბუტორს ბაზარზე თევზის შეტანაზე უარი უთხრეს ბაზრის მოქმედმა მოიჯარეებმა. ამჟამად ბაზარს ამარაგებს შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“, რომელიც თავად ახორციელებს იმპორტს, რაც „ფორ სიზ თრეიდინგისთვის“ წვდომას ბაზარზე ფაქტობრივად ზღუდავს.¹⁶

[REDACTED]
[REDACTED]
[REDACTED]
[REDACTED]¹⁷

¹² სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 03 ოქტომბრის №21-10/74614 წერილი.

¹³ საკონსულტაციო სხდომის ოქმი N2.

¹⁴ საკონსულტაციო შეხვედრა N2, 02:50-4:50.

¹⁵ იქვე, 17:50-18:08.

¹⁶ იქვე, 07:15-08:40.

¹⁷ იქვე, 24:50-28:20.

3.2.2. შეხვედრა შპს „იაზიჯი 2022“-თან

2025 წლის 10 თებერვალს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შპს „იაზიჯი 2022“-თან.¹⁸

პროდუქციის რეალიზაცია მეღვინეობის თევზის ბაზარზე ვერ განხორციელდა, რადგან ბაზარში მისულ კომპანიის დისტრიბუტორებს მოიჯარე სუბიექტების წარმომადგენლებმა ბაზარში თევზის შეტანაზე უარი განუცხადეს. ბაზრის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას კომპანიას აცნობეს, რომ ისინი ფლობენ ტერიტორიას იჯარის საფუძველზე და რეალიზაციას ახორციელებენ მხოლოდ საკუთარი იმპორტირებული პროდუქციის ფარგლებში.¹⁹

კომპანიის განმარტებით, მისი მხრიდან იმპორტის განხორციელებას წინ უძღოდა ზეპირსიტყვიერი მოლაპარაკებები მეღვინეობის ბაზრობის დახლის წარმომადგენლებთან, რომელთა მხრიდან გამოხატული იყო დაინტერესება იმპორტირებული თევზის შეძენაზე. იმპორტის განხორციელების მიუხედავად, აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია ვერ განხორციელდა, ვინაიდან მოიჯარე სუბიექტები, რომლებიც ფლობდნენ შესაბამის სავაჭრო ფართს, უზღუდავდნენ დახლის წარმომადგენლებს სხვა სუბიექტებისგან თევზის შეძენას.²⁰

კომპანიის განმარტებით, იმპორტირებული თევზის სარეალიზაციო ობიექტად მეღვინეობის ბაზრის შერჩევა განპირობებული იყო იმით, აჭარის რეგიონში თევზისა და ზღვის პროდუქტების საბითუმო ვაჭრობისთვის ალტერნატიული ბაზარი არ არსებობს.

21

3.3.3. საკონსულტაციო შეხვედრები დახლის წარმომადგენლებთან

მოკვლევის პროცესში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ ქ. ბათუმის მეღვინეობის ბაზრობის ტერიტორიის დახლის წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრები გამართა.²²

დახლის წარმომადგენლების განმარტებით, მეღვინეობის ბაზრობაზე თევზის რეალიზაციას წლებია უწყვეტად ახორციელებენ. მათი განმარტებით, თავდაპირველად, ბაზრის მფლობელი არ ერეოდა თევზის შეძენა-გაყიდვის პროცესში - თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად შეეძლო შეეძინა პროდუქცია მისთვის სასურველი მიმწოდებლისგან. ეს

¹⁸ საკონსულტაციო შეხვედრის სხდომის ოქმი N3.

¹⁹ საკონსულტაციო შეხვედრა N3, 3:11-5:30.

²⁰ იქვე, 11:20-12:00.

²¹ იქვე, 05:50-11:00.

²² საკონსულტაციო შეხვედრის ოქმები N4, N5, N6, N7, N8, N9.

მოცემულობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბაზრის ტერიტორია იჯარით გადაეცა ახალ მოიჯარეს - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“.²³

ახალი მოიჯარის პირობებში, დახლის წარმომადგენლებს შეეზღუდათ კონკრეტული სახეობის თევზის (ორაგული, დორადო, სიბასი და კალმახი) სხვა კომპანიებისგან შესყიდვა და მოეთხოვათ აღნიშნული ზღვის პროდუქციის შეძენა მხოლოდ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმისგან“. ამასთან, დახლის წარმომადგენლების განმარტებით, შეზღუდვის დაწესება არ მომხდარა იმ საფუძველზე, რომ თითქოსდა სხვა მომწოდებლების ზღვის პროდუქცია არასათანადო ხარისხის იყო.²⁴

საკონსულტაციო შეხვედრებზე ასევე აღინიშნა, რომ მოიჯარის ცვლილების შემდეგ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა გაყიდვები, რაც გამყიდველთა განმარტებით უკავშირდებოდა ზღვის პროდუქტებზე ფასების ზრდას და პარალელურად ხარისხის დაწევას. ამასთან, მათივე განცხადებით, დახლით სარგებლობის სანაცვლოდ ისინი ვალდებული არიან ყოველდღიურად გადაიხადონ ე.წ. „ჩეკის ფული“ [REDACTED] ოდენობით, რომელსაც ყოველდღიურად იღებს ბაზრის წარმომადგენელი, ხოლო მაცივრების გამოყენების შემთხვევაში - თვითურად დამატებით [REDACTED] გადახდა ევალებათ.²⁵

ბაზრის წარმომადგენლების განმარტებით, 2025 წლის მარტიდან მოყოლებული ბაზარზე მდგომარეობა შეიცვალა. კერძოდ, შეიცვალა მოიჯარე და მოიხსნა ადრე მოქმედი შეზღუდვები, რის შედეგადაც მოვაჭრეებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ სხვადასხვა მიმწოდებელთან.²⁶

4. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სააგენტოს მიერ ჩაინიშნა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები, რომლებზეც მოწვეულ იქნენ მხარეები - მომჩივანი შპს „პოსეიდონი 2022“ და მოპასუხეები - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ და შპს „ზუნდაგი“.²⁷

4.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან

სააგენტოში მომჩივანთან - შპს „პოსეიდონი 2022“-თან ჩანიშნული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 01 ივლისს.²⁸ შეხვედრაზე შპს „პოსეიდონი 2022“-ის წარმომადგენელი არ გამოცხადდა.²⁹

²³ საკონსულტაციო შეხვედრა N5, 21:50-23:07.

²⁴ საკონსულტაციო შეხვედრა N8, 19:00-20:00.

²⁵ საკონსულტაციო შეხვედრა N7, 07:45-10:25.

²⁶ საკონსულტაციო შეხვედრა N5, 36:50-37:20.

²⁷ სააგენტოს 2025 წლის 19 ივნისის N02/2600, N02/2601 და 02/2602 წერილები.

²⁸ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2.

4.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხეებთან

4.2.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს „გოლდენ ფიშ ბათუმთან“

სააგენტოში მოპასუხე - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმთან“ ჩანიშნული ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 02 ივლისს.³⁰ შეხვედრაზე შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა.³¹

4.2.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა შპს „ზუნდაგთან“

სააგენტოში შპს „ზუნდაგის“ წარმომადგენელთან ჩანიშნული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 07 ივლისს.³²

საკონსულტაციო შეხვედრის ფარგლებში, შპს „ზუნდაგის“ დირექტორთან განხილულ იქნა მეღვინეობის ბაზართან დაკავშირებული ბოლო პერიოდის დინამიკა, მათ შორის, მოიჯარის ცვლილება და ბაზრობაზე თევზის შეტანის საკითხი.

შპს „ზუნდაგის“ დირექტორმა დაადასტურა, რომ მიმდინარე წლის აპრილში შპს „ზუნდაგის“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა. კომპანიის განმარტებით, მოიჯარეს ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტული მიზეზი მეიჯარისთვის არ განუმარტავს. რაც შეეხება ახალ მოიჯარეს - შპს „აქუამარინ ბათუმს“, კომპანიის განმარტებით, მასთან საიჯარო ხელშეკრულება 2025 წლის 10 აპრილს გაფორმდა.³³

ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე დაისვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა რაიმე ტიპის შეზღუდვა ახალი მოიჯარის მხრიდან თევზის მიწოდების თვალსაზრისით. მოპასუხის განმარტებით, წინა მოიჯარის - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ მხრიდან ბაზრობის ფარგლებში დაწესებული იყო შეზღუდვა, რომელიც ითვალისწინებდა დახლზე მხოლოდ მის მიერ იმპორტირებული თევზის განთავსებას, ხოლო ახალი მოიჯარის პირობებში, იმ შემთხვევაში, თუ შპს „აქუამარინ ბათუმის“ მხრიდან კონკრეტული ტიპის თევზი ხელმისაწვდომი არ არის, დახლების წარმომადგენლებს აქვთ სრული თავისუფლება, შესაბამისი პროდუქტი სხვა კომპანიისგან შეიძინონ. შპს „ზუნდაგის“ განმარტებით, დახლის წარმომადგენლები კმაყოფილები არიან ახალი პირობებით და მათი მხრიდან პრეტენზიები არ ფიქსირდება.³⁴

²⁹ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2.

³⁰ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N4.

³¹ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N4.

³² ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N5.

³³ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა N4, 03:25-06:30.

³⁴ იქვე, 06:50-09:30.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

1. ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-2 მუხლით დაკონკრეტებულია კანონის მიზანი - საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს:

ა) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას;

ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფას;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვას და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობას, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობას;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ან/და შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობას, რომელიც არამართლობიერად ზღუდავს კონკურენციას;

ვ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული

პირი - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა და დაცვა, აგრეთვე ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დებულებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საქმიანობს დამოუკიდებლობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, არამედ, ასეთ ეკონომიკურ აგენტს აკისრებს სპეციალურ ვალდებულებას, არ განხორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე საფრთხეს შეუქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

„დომინანტური მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავს, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური

აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 10%-ს.

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალუბათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“ განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს

დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ; ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. კანონის 33¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;

დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;

ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;

ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 33 ბრძანება.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ნორმატიული შემადგენლობით გათვალისწინებული

ყველა ელემენტი აუცილებლად უნდა იქნეს თანაბრად დადგენილი ცალკეული შეთანხმების არსებობის მტკიცების პროცესში.

აღნიშნული ნორმატიული ელემენტები შესაძლებელია დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: სუბიექტები, ქმედება, კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი, შესაბამისი ბაზარი, სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით კონკურენცია იზღუდება. განსახილველი ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია ყველა დასახელებული პირობის კუმულატიურად არსებობა.

სუბიექტები - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა“.³⁵ ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას“.³⁶ შინაარსობრივად ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობაც, რომელიც, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ „ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა“.

კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შეთანხმებულ ქმედებებს, რომელთაც გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი. ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც, სადაც შესაბამისი დარღვევის განმახორციელებელ პირებად ასევე მოიაზრებიან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მათ შორის, ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული/დარგობრივი ასოციაციები.

ქმედება - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას, თუმცა ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც „ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ“.³⁷ გადაწყვეტია რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი

³⁵ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. Case C-41/90, Höfner and Elser, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, აზ. 21.

³⁶ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. - Case 118/85, Commission v Italy [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, აზ. 7.

³⁷ შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

მტკიცებულებით დგინდებოდა ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, რაც შეიძლება დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.³⁸

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც „კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.“³⁹ ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებას, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.⁴⁰

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ, რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალურ ან სარეკომენდაციო სიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.⁴¹

კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და ასევე შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.⁴² კონკრეტული შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხდება შესაბამისი ნორმის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.⁴³

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის

საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018. ასევე იხ. Case T-41/96, Bayer AG v Commission, [2000] ECR II-3383.

³⁸ შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022 Case T-41/96, Bayer AG v Commission, Case T-41/96, [2000] ECR II-3383.

³⁹ Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021; შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/166, თარიღი: 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

⁴⁰ ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710.

⁴¹ Case C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98; Case C-136/12, Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

⁴² გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

⁴³ ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 201.

შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.⁴⁴ გადამწყვეტია გაუფრთხილებლობითი ბრალის - „არ შეეძლოთ, რომ არ სცოდნოდათ“ - სტანდარტის დაკმაყოფილება.⁴⁵ მაგალითად, „საავტომობილო საწვავის“ (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით“ დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.⁴⁶

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას, შესაძლებელია განისაზღვროს ის ბაზარი, სადაც შესაბამისი შეთანხმების შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.⁴⁷ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეზღუდვის ეფექტი ცალკე მტკიცებას არ საჭიროებს.

4. პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები“, რომლის მე-7 მუხლი აწესრიგებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას

⁴⁴ Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

⁴⁵ Case 246/86, BELASCO v Commission [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.

⁴⁶ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

⁴⁷ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხ., სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;

გ) მოიწვიოს ექსპერტი;

დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

„პროცედურის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით სააგენტო მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოდგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა მოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

5. თევზის იმპორტთან, უვნებლობასთან და რეალიზებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა

თევზის იმპორტთან, უვნებლობასთან და რეალიზებასთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი რეგულაციით გამოირჩევა. კერძოდ:

- „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათთან მიმართებაში შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, დაუშვებელია სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი არ არის უვნებელი. სურსათის მავნებლობის დადგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ა) დადგენილი პირობების დაცვა სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყოველ ეტაპზე;
- ბ) საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებული ან/და პროდუქციის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია კონკრეტული სასურსათო პროდუქტის ან მსგავსი კატეგორიის

სურსათის ადამიანის ჯანმრთელობაზე სპეციფიკური არასასურველი გავლენის თავიდან აცილების შესახებ;

გ) სურსათის ჩვეულებრივი გამოყენება საბოლოო მომხმარებლის მიერ.

ამავე კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოში იმპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოდან ექსპორტირებული და რეექსპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა რამ მოითხოვება მიმღები ქვეყნის მიერ.

- ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, სურსათის გადამუშავებამდე, მათ შორის, თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტების გასარეცხად, შესაძლებელია სუფთა წყლის გამოყენება. სურსათისთვის განკუთვნილი ყინული უნდა დამზადდეს სასმელი წყლისაგან, ხოლო თევზისა და ზღვის პროდუქტებისათვის განკუთვნილი ყინული შესაძლებელია, დამზადდეს ზღვის სუფთა წყლისაგან. ყინული დაცული უნდა იყოს დაბინძურებისაგან.
- ტექნიკური რეგლამენტის - „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სურსათის შესახებ ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9-28-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო მონაცემებს: ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ით („ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებები ან პროდუქტები“) განსაზღვრული ნებისმიერი ინგრედიენტი, ან დამხმარე ტექნოლოგიური დანამატი, ან მათი წარმოებულები, რომლებიც იწვევს ალერგიას ან მომეტებულ მგრძნობელობას, გამოიყენება სურსათის წარმოებისა და მომზადებისას და რჩება მზა სურსათში საწყისი ან შეცვლილი ფორმით. დანართი 1-ის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ სიაში შედის თევზი და თევზის პროდუქტები, გარდა: ა) თევზის ჟელატინისა, რომელიც გამოიყენება გადამტანის (მატარებელის) სახით ვიტამინებისა და კაროტინოიდული პრეპარატებისათვის; ბ) თევზის ჟელატინის ან თევზის წებოსი, რომელიც გამოიყენება ღვინისა და ლუდის დაწმენდისათვის.
- „ტექნიკური რეგლამენტის - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის“ წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N417 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, რეგლამენტი ადგენს აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესებს და ის ვრცელდება იმ ბიზნესოპერატორზე, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციასთან.

- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ის არეგულირებს გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტს და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის.
- საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებულ წესებსა და საბაჟო ფორმულებს, საბაჟო დავის გადაწყვეტის წესს, საბაჟო სამართალდარღვევის სახეებს და ამ სამართალდარღვევების ჩადენისთვის პასუხისმგებლობას.
- „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონი განსაზღვრავს აკვაკულტურის საქმიანობის რეგულირებისა და განხორციელების პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას საკუთრებასთან, აკვაკულტურის ნებართვის გაცემასთან, საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის ზონის გამოყოფასთან, სახელმწიფო კონტროლსა და აკვაკულტურასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
- „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება.
- „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილება.

- „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება.
- სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილება.
- „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N567 დადგენილება.
- „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება.
- „სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის N236 დადგენილება.
- „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილება.
- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N577 დადგენილება.
- „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება.

თავი III. შესაბამისი ბაზარი

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.⁴⁸ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

იმის გათვალისწინებით, რომ მოკვლევა შეეხება კანონის მე-6 და მე-7 მუხლების სავარაუდო დარღვევას, აღსანიშნავია შემდეგი: 1. კანონის მე-6 მუხლის მიხედვით შეფასებისას სააგენტო ადგენს, ბოროტად გამოიყენა თუ არა კონკრეტულმა ეკონომიკურმა აგენტმა თავისი დომინანტური მდგომარეობა. ამ მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია დომინანტური მდგომარეობის არსებობის დადგენა, რომელიც, თავის მხრივ, ფასდება შესაბამისი ბაზრის კონტექსტში, ანუ დგინდება, გააჩნია თუ არა კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია ამ უკანასკნელის განსაზღვრა.⁴⁹ 2. კანონის მე-7 მუხლის მიხედვით ქვეყნის შესწავლისას, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრით შესაძლებელია მოქმედი და პოტენციური კონკურენტების იდენტიფიცირება.⁵⁰

⁴⁸ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

⁴⁹ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევი - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2023, გვ. 2.

⁵⁰ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევი - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2023, გვ. 2.

1. პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.⁵¹

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრის ზოგადი მიდგომა ეფუძნება „ჩანაცვლებადობის“ კრიტერიუმს, ანუ შეისწავლება, არის თუ არა კონკრეტული საქონელი ან მომსახურება სხვა პროდუქტებთან/მომსახურებასთან ურთიერთჩანაცვლებადი. „ჩანაცვლებადობის“ განსაზღვრისთვის სავალდებულო არ არის ურთიერთჩანაცვლების სრულყოფილი ხარისხის დადგენა. მის დასადგენად საკმარისად ითვლება პროდუქტის ან მომსახურების მსგავსი გამოყენება.

იმისათვის, რომ მართებულად დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები, აუცილებელია განისაზღვროს ისეთი ბაზარი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა გააჩნია მოცემული დავის გადასაწყვეტად.⁵²

მომჩივანის მიერ საჩივარში განსაზღვრული დავის საგანი შეეხება ქ. ბათუმის ე.წ. მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიაზე, მის მიერ იმპორტირებული თევზის სახეობების (დორადო, ორაგული, სიბასი და კალმახი) მიწოდების აკრძალვას. აღნიშნული გარემოება, მომჩივანის პოზიციით, შესაძლებელია გამოწვეული იყოს ან მოპასუხე ეკონომიკური აგენტის, შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, რაც მიწოდებაზე უარს გულისხმობს ან ამავე კომპანიასა და ქ. ბათუმში არსებული მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიის მესაკუთრეს - შპს „ზუნდაგს“ შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობით, რაც შესაძლებელია ამავე შეთანხმების ექსკლუზიურ ხასიათზე მიუთითებდეს. სააგენტო განმარტავს შემდეგს - როგორც კანონის მე-6 მუხლის კონტექსტში, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ გარკვეული პროდუქტის ან/და მომსახურების მიწოდებაზე სავარაუდო უარის განხილვისას, აგრეთვე კანონის მე-7 მუხლის კონტექსტში, ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური შეთანხმების სავარაუდო არსებობისა და შესაბამის ბაზარზე მისი გავლენის შეფასებისას, ამავე ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის ამოსავალი წერტილია - ის პროდუქტი ან/და მომსახურება რომლის მიწოდებაზეც სავარაუდო უარს აქვს ადგილი, აგრეთვე ის პროდუქტი ან/და მომსახურება, რასთან მიმართებაშიც სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმება არსებობს. მოკვლევის ფარგლებში, ასეთის სახის მომსახურებას წარმოადგენს ქ. ბათუმში მდებარე, მელკიმორიის ბაზრობის

⁵¹ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8, პუნქტი 1.

⁵² იხ., საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N 04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე“, გვ. 42; საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N 04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, გვ. 58.

ტერიტორიით, როგორც ვაჭრობის (გასაღების წყაროს) ადგილით სარგებლობა. კერძოდ, დავის საგანი შეეხება ამავე ტერიტორიაზე მყოფი დახლის წარმომადგენლებისათვის იმპორტირებული თევზის კონკრეტული სახეობების მიწოდების აკრძალვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის მიზნით სააგენტო უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს მელკიმორიის ბაზრობის ე.წ. სავაჭრო დანიშნულებას. **ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ დავის საგანი არ შეეხება მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიის იჯარის წესით ალების საკითხს და მისი, როგორც უძრავი ქონების გაქირავების შესაძლებლობის რაიმე სახით შეზღუდვას.** შესაბამისად, დავის საგნის გათვალისწინებით,⁵³ კანონის ორივე - მე-6 და მე-7 მუხლების მიზნებისათვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრის დადგენის მიმართულებით სააგენტო საწყის წერტილად განიხილავს ქ. ბათუმში მდებარე მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიისათვის თევზის სახეობების (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) მიწოდებას, რასაც ადგილი აქვს ამავე პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობის დონეზე.

სააგენტო ითვალისწინებს, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები დგინდება მოთხოვნის ჩანაცვლებადობაზე დაყრდნობით.⁵⁴ რაც შეეხება კონკრეტულ მოკვლევას - სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავის საგნის მიხედვით, მომჩივანს შეეზღუდა მის მიერ იმპორტირებული თევზის მიწოდება ქ. ბათუმში არსებული მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიისათვის. შესაბამისად, მომჩივანი მის მიერ მითითებული შეზღუდვის ამოქმედებამდე, თევზის შესაბამის სახეობებს აწვდიდა ზემოთ ხსენებული ბაზრობის ტერიტორიას. მომჩივანი წარმოადგენს მელკიმორიის ბაზრობის, როგორც საქონლის გასაღების წყაროს მომხმარებელს - კერძოდ, ბაზრობის ტერიტორიაზე მყოფი დახლის წარმომადგენლებისათვის პროდუქტის გაყიდვის გზით, მომჩივანის მიერ იმპორტირებული თევზის სახეობების განთავსება და ამავე ტერიტორიიდან მათი საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვაა შესაძლებელი. შესაბამისად, სააგენტო ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ კანონის როგორც მე-6, ასევე მე-7 მუხლის ფარგლებში შესაფასებელი ქმედებების მიხედვით, სავარაუდო დაზარალებული პირი, მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიისათვის თევზის (სახეობები - დორადო, ორაგული, სიბასი და კალმახი) მიმწოდებელია (ე.ი. პროდუქციის რეალიზაციის წყაროს მომხმარებელი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული მოკვლევის მიზნებისათვის, სააგენტო არსებითად მიიჩნევს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენას მომხმარებლის თვალსაზრისით.

თევზის სარეალიზაციო ადგილების მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ თევზის ის

⁵³ დავის საგანი აგრეთვე არ შეეხება თევზის ადგილობრივი წარმოების/იმპორტისა და საცალო რეალიზაციის რაიმე სახით შეზღუდვას.

⁵⁴ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევი - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2023, გვ. 12.

სახეობები, რომელთაც დავის საგანი შეეხება (დორადო, ორაგული, სიბასი და კალმახი) ხელმისაწვდომია არა მხოლოდ თევზის ბაზრობის ტერიტორიაზე, არამედ ნებისმიერი სხვა სახის სარეალიზაციო ადგილებშიც. მაგალითად, მაღაზიებში, რესტორნებში, სასტუმროებში თუ სხვა. შესაბამისად, როგორც მომჩივანს, აგრეთვე თევზის ნებისმიერ სხვა იმპორტიორს/ადგილობრივ მწარმოებელს თავისუფლად შეუძლია შესაბამისი პროდუქტი მიაწოდოს თევზის სარეალიზაციო ნებისმიერ ადგილს, ბაზრობის ტერიტორიის ჩათვლით. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია სააგენტოს მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ბაზიდან 2022-2024 წლების მიხედვით (მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდი) ამოღებულ და დამუშავებულ სასაქონლო ზედნადებებზე დაყრდნობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკვლევის მიზნებისათვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვარს წარმოადგენს **იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარი.**

2. გეოგრაფიული საზღვრები

მოცემული პროდუქტის ან/და სერვისის შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დასადგენად, მიზანშეწონილია დავიწყოთ იმ ტერიტორიით, სადაც განსახილველი პროდუქტი იყიდება. ამის საპირისპიროდ, მნიშვნელობა არ აქვს სად იწარმოება პროდუქცია ან სად ტარდება კვლევა.⁵⁵

როგორც უკვე აღინიშნა, ქ. ბათუმში მდებარე მეღვინეობის ბაზრობის ტერიტორია წარმოადგენს შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის პროცესში ამოსავალ წერტილს. მოკვლევის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით და სააგენტოს შეფასებით, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები არ არის შეზღუდული მხოლოდ ამავე ტერიტორიით, არამედ მან უნდა მოიცვას საქართველოს ტერიტორია სრულად. კერძოდ, აღნიშნული შეფასება ემყარება შემდეგ გარემოებას - სააგენტოს მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ბაზიდან 2022-2024 წლების მიხედვით (მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდი) ამოღებული და დამუშავებული სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, თევზის სახეობების (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) როგორც იმპორტიორი, აგრეთვე ადგილობრივი მწარმოებელი ფიზიკური/იურიდიული პირები, ამავე პროდუქტს აწვდიან საქართველოს მთელ ტერიტორიას. მაგალითად,

ანალოგიურად ამავე ზედნადებებზე დაყრდნობით დაფიქსირებულია საქართველოში არსებული არაერთი სოფელი. აღსანიშნავია, რომ თევზის სახეობების (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) იმპორტიორი/ადგილობრივი მწარმოებელი სხვა პირების გარდა, მომჩივანიც ქ. ბათუმის მეღვინეობის ბაზრობის ტერიტორიასთან ერთად, 2023-2024 წლებში

⁵⁵ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევი - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2023, გვ. 15.

მის მიერ იმპორტირებული თევზის სახეობებს (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) აწვდიდა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თევზის სახეობების (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) საბითუმო დონეზე პირველადი მიწოდება უზრუნველყოფილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

3. დროითი ჩარჩო

დროით ჩარჩოსთან მიმართებით სააგენტო განმარტავს, რომ შესაბამისი ბაზარი ფუნქციონირებს უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ ბაზარს სპეციფიკური დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

თავი IV. შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები

სააგენტოს მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებულ სისტემაში არსებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, იდენტიფიცირებულ იქნა ქვეყნის მასშტაბით იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზრის რეალიზატორთა ნუსხა. შესაბამისად, განისაზღვრა ამავე ბაზრის მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილები და ბაზრის კონცენტრაციის დონე 2022, 2023 და 2024 წლების მიხედვით.

2022 წელს იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარზე პოზიციონირებდა 1991 ეკონომიკური აგენტი. რეალიზაციის საერთო თანხა შეადგენდა 61 653 134 ლარს.

ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 416.8 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე დაბალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №1).

რაც შეეხება 2023 წელს, იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარზე პოზიციონირებდა 2007 ეკონომიკური აგენტი. რეალიზაციის საერთო თანხა შეადგენდა 60 077 066 ლარს.

ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 408.85 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს ვმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე დაბალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №2).

2024 წელს იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარზე პოზიციონირებდა 2099 ეკონომიკური აგენტი. რეალიზაციის საერთო თანხა შეადგენდა 69 909 866 ლარს.

--

ბაზრის კონცენტრაციის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) მიხედვით შეადგენდა 416.1 ერთეულს, რაც 2020 წლის 23 ოქტომბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე N37 ბრძანების საფუძველზე დაბალკონცენტრირებულად ითვლება (იხ. დიაგრამა №3).



თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. ამდენად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნდეს 40 პროცენტზე მეტი საბაზრო წილი, თუმცა სხვა მტკიცებულებებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, იგი მაინც ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის მქონედ. სხვაგვარად რომ ითქვას, საბაზრო წილის 40 პროცენტზე მეტი ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს“, რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები.

სააგენტოს მიერ მოკვლევის ფარგლებში დადგენილი მოპასუხე ეკონომიკური აგენტის - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ საბაზრო წილი, მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში (2024 წელი)⁵⁶ მნიშვნელოვნად და არსებითად ჩამოუვარდება კანონით დადგენილ 40%-იან ნიშნულს. აგრეთვე, „სხვა მტკიცებულებების“ გამოკვლევის ნაწილში, სააგენტო ადასტურებს, რომ ასეთი სახის მტკიცებულებების არსებობა მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა.

⁵⁶ შენიშვნა: 2022 და 2023 წლებში აღნიშნულ კომპანიას მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორია იჯარის წესით არ ჰქონდა აღებული.

თავი V. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის საგარეუდო დარღვევის ფაქტზე

1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - ზოგადი მიმოხილვა

დომინანტური მდგომარეობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ კანონის მე-6 მუხლით დადგენილი აკრძალვების უშუალო ადრესატს. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს არ უკრძალავს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობას. კონკურენციის სამართალი აწესებს აკრძალვებს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, რათა დაცულ იქნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი, დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი კუთვნილი საბაზრო წილია.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინანტური მდგომარეობა არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დომინანტური მდგომარეობის საკანონმდებლო დეფინიცია შინაარსობრივად იმეორებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს მისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია.⁵⁷ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან, რომელთაგან ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა არ იყოს საკმარისი მსგავსი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.⁵⁸ თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე არსებული

⁵⁷ ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 65; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche”, § 38; ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, “Michelin”, § 30; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90.

⁵⁸ ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, § 66; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, § 90.

საბაზრო წილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დომინანტური მდგომარეობის დასადგენად.⁵⁹

მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, როდის და რა შემთხვევებში აქვს ეკონომიკურ აგენტს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის/მომსახურების მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებაზე, სადაც კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. ამდენად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტს არ გააჩნდეს 40%-იანი საბაზრო წილი, თუმცა სხვა მტკიცებულებებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, იგი მაინც ჩაითვალოს დომინანტური მდგომარეობის მქონედ. სხვაგვარად რომ ითქვას, საბაზრო წილის 40 პროცენტის ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს“, რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები.

დამატებით გარემოებებსა და მტკიცებულებებთან მიმართებით სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, „ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით“. დასახელებული ნორმით კანონმდებელი აკონკრეტებს იმ გარემოებებისა თუ მტკიცებულებების სახეებსა და ფორმებს, რომელზეც ასეთ დროს შეიძლება აქცენტი გაკეთდეს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას.

საბაზრო წილთან მიმართებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალიან მაღალი საბაზრო წილი, გარდა განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევებისა, თავისთავად წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებას.⁶⁰ აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება, სხვა სახის მტკიცებულებებისა თუ გარემოებების არსებობის

⁵⁹ ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, „Hoffmann-La Roche“, § 39/3; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, „Hilti AG“, § 90.

⁶⁰ ECLI:EU:C:1986:192, „AKZO Chemie BV“, § 60; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, „Hoffmann-La Roche“, § 4.

აუცილებლობაზე ქართველი კანონმდებელი არანაირ სპეციალურ დათქმას არ აკეთებს. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 40 პროცენტზე მეტი საბაზრო წილის ფლობა, როგორც წესი, მიუთითებს ეკონომიკური აგენტის ისეთ საბაზრო ძალაუფლებაზე, რომელიც მას აძლევს კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, კონკრეტული საბაზრო მოცემულობის, ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებითა და კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მხედველობაში მიღებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სხვა ფაქტორებისა თუ პარამეტრების გაანალიზებაც.

2. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ საბაზრო ძალაუფლების მასშტაბი

სააგენტო მიუთითებს, რომ მოკვლევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია კონკრეტული საბაზრო ქცევის მომენტში იმის იდენტიფიცირება, არსებობდა თუ არა (და რა ხარისხით), შესაბამის ბაზარზე კონკურენტული წნეხი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რამდენად და რა ხარისხით გააჩნდათ კონკურენტული წნეხის შექმნის შესაძლებლობა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე თევზის ცალკეული სახეობების (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) შეტანის დროს. რაც შეეხება კონკურენტული წნეხის არსებობას, ის განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა მდგომარეობით (ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევის უნარით) და წილობრივი წარმომადგენლობით შესაბამის ბაზარზე.

ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის განსაზღვრის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ სუბიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ ან საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით ან სხვა საშუალებებით“.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით,“ ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მიმწოდებლის) წილი გაიანგარიშება პროცენტებში, სასაქონლო ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით“.

სააგენტოს მიერ დამუშავებული ინფორმაციით დადგინდა, რომ საქართველოში იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარი 2022-2024 წლებში დაბალკონცენტრირებული იყო. შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის არსებობა (როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ჯგუფურ დონეზე) მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ არ უდასტურდება. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ბაზარზე წარმოდგენილია არაერთი თანაბარი ძალის მქონე სუბიექტი, შესაბამისად კონკურენტული წნეხის მაღალი ხარისხი აღინიშნება.

ამასთანავე, არც მომწივანის მხრიდან და არც სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის შედეგად, შესაბამის ბაზარზე არ დგინდება მოპასუხის საბაზრო ძალაუფლების დამადასტურებელი რაიმე სხვა ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, არ იკვეთება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც მოპასუხეს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.

შუალედური დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლის გამოყენების პირველ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა.

სააგენტომ, განხორციელებული მოკვლევის ფარგლებში დაადგინა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის დაბალი საბაზრო წილის არსებობა შესაბამის ბაზარზე გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მოკვლევის შედეგად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოების არსებობა:

საქართველოში იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიბასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარზე 2024 წლის მიხედვით,⁶¹ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ დომინანტური მდგომარეობა არ უკავია, რაც დადასტურებულია ამავე პერიოდის განმავლობაში მისი დაბალი საბაზრო წილის (40%-იან ნიშნულზე ნაკლები) არსებობით. თავის მხრივ, სააგენტო იზიარებს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ განვითარებულ მიდგომას, რომლის მიხედვით დომინანტური მდგომარეობის არსებობის შეფასების ნაწილში რელევანტურია

⁶¹ შენიშვნა: 2022 და 2023 წლებში აღნიშნულ კომპანიას მეღვინეობის ბაზრობის ტერიტორია იჯარის წესით არ ჰქონდა აღებული.

ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ მხოლოდ სტაბილური და შედარებით გრძელვადიანი საბაზრო წილების ქონა.⁶²

თავი VI. სააგენტოს შეფასება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე

1. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - ზოგადი მიმოხილვა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიმდინარე მოკვლევა სააგენტოში დაწყებულია საჩივრის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ხოლო მხარეებს მომჩივანი და მოპასუხე სუბიექტები წარმოადგენენ. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის წარმდგენი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ სწორედ მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.

ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს მომჩივანის სამართლებრივ სტატუსს. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომჩივანი არის პირი, რომელსაც კანონის დარღვევის შედეგად უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. შესაბამისად, საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში სააგენტო, ძირითადად, ფოკუსირდება მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებულ ისეთ სადავო ქმედებაზე/ქმედებებზე, რომლის შედეგადაც, სავარაუდოა, რომ მომჩივანს ადგება ზიანი.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების ამკრძალავ საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, „აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა“.

იმისათვის, რომ დადგინდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული

⁶² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, საქმე Hoffmann-La Roche (1979) პარაგრაფები 39–41.

აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან/და შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვაა. ამასთანავე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ქმედება შესაძლოა ჩადენილ იქნეს მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით.

როგორც უკვე აღინიშნა, საჩივარში მითითებულ მოპასუხე სუბიექტებს წარმოადგენენ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ (ს/ნ 445734331) და შპს „ზუნდაგი“ (ს/ნ 245400310). კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების (კანონის მე-7 მუხლი) შეფასების ნაწილში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებაზე, რომ შპს „გოლდენ ფიშ ბათუმმა“ 2024 წლის 01 თებერვალს შპს „ზუნდაგისგან“ იჯარის ხელშეკრულებით აიღო ბაზრობის ტერიტორია, რის გამოც შესაბამის ბაზარზე ოპერირება სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის შეიზღუდა. საჩივრის მიხედვით, არსებობს ეჭვი შპს „ზუნდაგს“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის კონკურენციის შემზღუდველი ფარული გარიგების არსებობაზე, რადგან მომჩივანის განმარტებით, შპს „ზუნდაგის“ წარმომადგენელი ამავედროულად არის შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ წარმომადგენელიც, რომელიც ახდენს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული დახლების ყოველდღიური ჩეკების თანხის აკრეფვას და ირიბად ჩართულია მის საქმიანობაში. მომჩივანის მითითებით, შპს „გოლდენ ფიშ ბათუმმა“ ყველა სხვა კომპანიას შეუზღუდა ბაზარზე თევზის მიწოდების შესაძლებლობა, რამაც შეზღუდა თავისუფალი კონკურენცია ბაზრის ტერიტორიაზე. შესაბამისად მოპასუხემ მოიპოვა ბაზარზე მონოპოლია და ოპერირებს მაღალი ფასებით.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სადავო ქმედების შეფასების მიზნით, სააგენტოს მიერ უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი, ხოლო ამის შემდეგ უნდა გაანალიზდეს სადავო შეთანხმება. ვინაიდან, წინამდებარე გადაწყვეტილების III თავის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისი ბაზრის საზღვრები, აღნიშნულ ნაწილში შეფასდება შპს „ზუნდაგს“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის დადებული 2024 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების პირობები და ის, თუ რამდენად გააჩნდა კონკურენციის შეზღუდვის ეფექტი აღნიშნულ სადავო ხელშეკრულებას.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოთ მოცემული წინაპირობების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ევროკავშირის კონკურენციის სამართალი, ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც პასუხობს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებსა და ამოცანებს. როგორც ცნობილია, 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალაში ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის (შემდგომში - „ასოცირების

შეთანხმება“).⁶³ შეთანხმების 204-ე მუხლი ადგენს, რომ მხარეებს მათ ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებულ კონკურენციის საწინააღმდეგო ცალმხრივ ქმედებებზე. გარდა ამისა, მხარეებს უნდა გააჩნდეთ კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების - „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის“ შექმნისა და აღსრულების პროცესში, არსებითი როლის მატარებელია მსოფლიოს წამყვანი იურისდიქციების, პირველ რიგში, კი, თავად ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.

საქართველოს კონკურენციის სამართლის ნორმების გამოყენებისა თუ განმარტების მიზნებისათვის ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიდგომების მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილს უმეტესწილად აფუძნებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებში მოცემულ განმარტებებზე.⁶⁴

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის რელევანტური ნორმების განმარტებისას. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური გამოწვევების, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების, ქვეყნის შესაბამისი ბაზრების სპეციფიკის, ამ ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების/შენარჩუნების/განვითარებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით, სააგენტო მხედველობაში იღებს ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს.

2. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები

კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი

⁶³ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>.

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება - ბს-595-592 (კ-17), გვ. 9.

ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომში – შეთანხმება). დასახელებული მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა) მე-7 მუხლით აკრძალულ ერთ-ერთ ქმედებას მიეკუთვნება.

იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი, საჭიროა შემდეგი ელემენტების/პირობების/გარემოებების ერთობლივად არსებობა:

ა) ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება, მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედება;

გ) დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

2.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სხვა ელემენტების განხილვამდე, აუცილებელია დადგინდეს, რამდენად არიან მოპასუხედ დასახელებული კომპანიები კანონის მე-7 მუხლის სუბიექტები ანუ რამდენად ექცევიან ისინი ეკონომიკური აგენტის კონკურენციის სამართლებრივ განმარტებაში.

კანონის მე-7 მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მუხლის სუბიექტები არიან ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სამართალში გამოყენებულ ეკონომიკური აგენტის ცნებას ანალოგი სამართლის სხვა დარგებში არ აქვს.⁶⁵

ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა“. ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას“. ამასთან, *გენერალური ადვოკატი ჯეიკობსი* ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით დამატებით

⁶⁵ ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 178.

განმარტავს - „როდესაც მსგავსი საქმიანობა კერძო პირის მიერ, სულ მცირე, თეორიულად, მოგების მიღების მიზნით შეიძლება განხორციელდეს“.⁶⁶

მოქმედი კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობაც ეკონომიკური აგენტის ცნებას ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განმარტავს. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. კანონი არ განმარტავს „ეკონომიკური საქმიანობის“ ცნებას. თუმცა, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე კომპანიებს წარმოადგენენ: შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ (ს/ნ 445734331) და შპს „ზუნდაგი“ (ს/ნ 245400310). ხსენებული ორივე სუბიექტი საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, არიან მეწარმე სუბიექტები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა. შესაბამისად, საწარმო, რომლის სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით მოიცავს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ცნებასაც.

ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი

კანონის მე-7 მუხლის ერთ-ერთი წინაპირობაა შეთანხმება ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის. ამასთან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში („სიტროენ ჯორჯია“ „სტრადა მოტორსისა“ და სხვათა წინააღმდეგ), სააგენტო განმარტავს, რომ „კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად არსებითია მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებს ადგილი ჰქონდეს რეალურ კონკურენტებს შორის“⁶⁷ ამასთან, „სუბიექტზე კანონის მე-7 მუხლის

⁶⁶ იქვე, გვ. 179.

⁶⁷ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 6 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.15.

გავრცელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეთანხმების არსებობა ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის“.⁶⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ უნდა შეაფასოს - შესაძლებელია თუ არა ჩამოთვლილი მოპასუხე ეკონომიკური აგენტები განხილულ იქნან, როგორც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი კანონის მე-7 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება, იმის დასადგენად მოპასუხე კომპანიები, მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი. სააგენტოს შეფასებით, რამდენიმე პირის ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას, **შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული კომპანიის რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.** ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით და ისინი ავტომატურად, ყველა შემთხვევაში ვერ იქნებიან მიჩნეულნი ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.⁶⁹ ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფაქტის დადგენა ავტომატურად არ განაპირობებს მათ „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად“ მიჩნევას, რამეთუ ამ უკანასკნელი გარემოების დადგენა საჭიროებს დამატებით მსჯელობასა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევას. კერძოდ, „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებასთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა რამდენიმე⁷⁰ საქმეში და მიიჩნია, რომ განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის **არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.**

⁶⁸ იქვე, გვ. 13.

⁶⁹ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 ივნისის N04/65 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (სადაზღვევო ჯგუფის საქმე), გვ. 58-59; საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N 04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე“, გვ. 41; საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 14 მაისის N 04/508 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „რუსთავის ავტობაზრობისა და მიკადო ჯორჯიას საქმე“, გვ. 67.

⁷⁰ სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 22, სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 6 ივლისის N04/166 გადაწყვეტილება, გვ. 13, სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 ივნისის N04/91 გადაწყვეტილება, გვ. 48.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით, მოცემულ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებული კორპორაციულ-სამართლებრივი მონაცემების, წილობრივი მონაწილეობის და ურთიერთმიმართების, ხელმძღვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირების კავშირების შესახებ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოცემული ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან დაკავშირებულები არ არიან, კერძოდ:

- შპს „ზუნდაგის“ (ს/ნ 245400310) ერთპიროვნული დირექტორი არის თემურ ვერძაძე (პ/ნ 61006001196). შპს „ზუნდაგის“ 50%-იანი წილის მესაკუთრე არის თემურ ვერძაძე (პ/ნ 61006001196), ხოლო დანარჩენი 50%-იანი წილის - მერაბ ქოქოლაძე (პ/ნ 61006006013).
- შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) ერთპიროვნული დირექტორი არის თორნიკე ვაშაყმაძე (პ/ნ 61309034837). შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ 67%-იანი წილის მესაკუთრე არის თორნიკე ვაშაყმაძე (პ/ნ 61309034837), ხოლო 33%-იანი წილის - რიმა რიჟვაძე (პ/ნ 61709035934).

ამდენად, აშკარაა, რომ მოცემული ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს. გარდა აღნიშნულისა, მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა რაიმე ისეთი სახის გარემოების/გარემოებების არსებობის ფაქტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სუბიექტებს არ ექნებოდათ რეალური ავტონომია და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიან, არც დირექტორატი და არც მმართველი პარტნიორებით.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შემთხვევაშიც, ეს უკანასკნელი გარემოება არ არის საკმარისი, ისევე როგორც აუცილებელი წინაპირობა განსახილველი კომპანიების მიმართ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის გამოყენებისათვის.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, სააგენტო წინამდებარე გადაწყვეტილების მიზნებისათვის, სადავო ქმედების კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის შეფასების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ შპს „ზუნდაგი“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ არ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს.

2.2 ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის მეორე კომპონენტს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

ა) ხელშეკრულების დადება ან გადაწყვეტილების მიღება

ხელშეკრულების არსი კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის ფართოდ განიმარტება. იმისათვის, რომ არსებობდეს ხელშეკრულება (შეთანხმება) „საკმარისია, თუ ეკონომიკურმა აგენტებმა გამოხატეს რამენაირი ერთობლივი ინტერესი მოქცეულიყვნენ შესაბამისად“.⁷¹ იმისათვის, რომ კონკრეტული ქმედება კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა არსებობდეს სულ მცირე ორი ნების გამოვლენა, ანუ ნება მინიმუმ ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის მიერ იქნას გაცხადებული. შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური აგენტის განცალკევებული ინდივიდუალური ქმედებები არ ექცევა კანონის მე-7 მუხლით დაცულ სფეროში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნების გამოვლენის ფორმას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, პრაქტიკაში იგი შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, ხელმოწერილი თუ ხელმოწერის გარეშე.⁷² ნების გამოვლენად ჩაითვლება როგორც ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმება,⁷³ მარტივი მემორანდუმი, ასოციაციის გადაწყვეტილება, თუ მხოლოდ ხასიათის მქონე მარკეტინგული სახელმძღვანელო დოკუმენტები.

ვერტიკალური შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას გულისხმობს, ექსკლუზიური შეთანხმებები, ზოგადად, მეტი ზიანის მომტანია კონკურენციისთვის, ვიდრე არაექსკლუზიური შეთანხმებები. ექსკლუზიური გარიგება ხელშეკრულების ძალით ან მისი პრაქტიკული ეფექტით, ერთ მხარეს აიძულებს, შეასრულოს მეორე მხარისგან ყველა ან პრაქტიკულად ყველა მოთხოვნა.⁷⁴

⁷¹ Case T-7/89 SA Hercules Chemicals v Commission [1991] ECR II-1711, para.2.

⁷² Case 28/77 Tepea v Commission [1978] ECR 1391.

⁷³ Case 41/69 ACF Chemiefarma v Commission [1970] ECR 661.

⁷⁴ COMMISSION NOTICE Guidelines on Vertical Restraints, para.103, ხელმისაწვდომია: <https://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/guidelines_vertical_en.pdf>

ბ) შეთანხმებული ქმედება

შეთანხმებული ქმედება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.⁷⁵ ევროკავშირის მიერ შეთანხმებული ქმედების ფართოდ განმარტების მიზანი არის ის, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ერთმანეთს გამიზნულად არ უწევენ კონკურენციას, მაგრამ მათ ქცევას აკლია შეთანხმება, არ დარჩნენ რეგულირების გარეთ.⁷⁶ ეკონომიკური აგენტების ქმედების შეთანხმებულ ქმედებად კვალიფიცირებისათვის, საჭიროა დადგინდეს, ქმედება თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს.⁷⁷ თუ პარალელური ქმედება მიიღწევა ეკონომიკურ აგენტთა მიერ მათი სამომავლო სამეწარმეო სვლების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის გაზიარების პრაქტიკით, იქნება ეს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, სახეზეა კონკურენციის სამართლით დასჯადი პარალელიზმი.⁷⁸

2.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სავალდებულო კომპონენტია, ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის, ან ასოციაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების მიზანი ან შედეგი იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.⁷⁹

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მატარებელია შეთანხმება (Restrictions by object), რომელსაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს პოტენციალი, შეზღუდოს კონკურენცია. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი სახეზეა, აღარ არის საჭირო მხედველობაში იქნას მიღებული შეთანხმების კონკრეტული ეფექტი.⁸⁰

⁷⁵ Case 48/69 ICI v Commission [1972] ECR 619, para.64.

⁷⁶ Faull J., Nikpay A., The EU Law of Competition, third edition, Oxford University Press, 2014, p. 218.

⁷⁷ Jones A., Sufrin B., EU Competition Law: Text, Cases and Materials, 5th ed, Oxford University Press, 2014, p. 710.

⁷⁸ Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v Commission [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174, para. 174.

⁷⁹ Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

⁸⁰ Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society and Barry Brothers (Carrigmore Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Nederland and others [2009] ECR I-4529, para. 29.

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებას არ გააჩნია კონკურენციის შემზღუდველი მიზანი, მაშინ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო შეეცდება დაადგინოს გააჩნია თუ არა ამავე შეთანხმებას ნეგატიური ეფექტი შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე (Restrictions by effect). კონკურენციის შემზღუდველი შედეგის ანალიზი მოიცავს შესაბამისი ბაზრის ღრმა ფაქტობრივ კვლევას და შეთანხმების ეკონომიკური შედეგების იდენტიფიცირებას.

2.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის საკვანძო პუნქტი არის მოცემულობა, რომ განხორციელებული ხელშეკრულება, გადაწყვეტილება თუ ქმედება უნდა იყოს იმგვარი მიზნის ან შედეგის მატარებელი, რომ ზღუდავდეს, არ უშვებდეს ან/და კრძალავდეს კონკურენციას.

კონკურენციის შეზღუდვა შეიძლება სხვადასხვა ქმედებაში გამოიხატოს, რაც მოცემულია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებში. „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენციის შემზღუდველ ქმედებად შესაძლოა დაკვალიფიცირდეს წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა. პრაქტიკაში წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინვესტიციების შეზღუდვა, როგორც წესი, გამოიხატება ან/და იწვევს არსებულ პროდუქტზე/მომსახურებაზე გეოგრაფიულ არეალში ფასების ზრდას ან/და კონკურენციის შემზღუდველ სხვა შედეგებს, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური აგენტებისთვის, თუმცა, აზარალებს მომხმარებელს. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ სახედაა მიჩნეული.⁸¹

3. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება

3.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი

კანონის მე-7 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართებაზე

⁸¹ გაზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2018 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: <<https://admin.competition.ge/uploads/1c5b8828bc6948689535c33d6428d5e0.PDF>>.

კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების/შეთანხმებების შეფასების პროცესში.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.⁸² კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“. აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.⁸³ ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს - უფლებას არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ, მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.⁸⁴ ამასთან, სახელშეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას⁸⁵ და იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში.⁸⁶ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე.⁸⁷ შეზღუდვა შესაძლოა ვრცელდებოდეს, როგორც შინაარსის განსაზღვრის, ასევე კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებაზე და ა.შ.

თუმცა, სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს, აღნიშნულ საკითხს გააჩნია ერთი გამონაკლისი, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს,⁸⁸ რაც სახელშეკრულებო თავისუფლებას, როგორც პირის შეზღუდულ უფლებას განაპირობებს.⁸⁹

მხარეთა შეუზღუდავი თავისუფლება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანია საჯარო ინტერესის დაცვა, სუსტი მხარის მინიმალური დაცვა,

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება №ს-664-635-2016.

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ს-1300-1320-2011.

⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.

⁸⁵ სახელშეკრულებო სამართალი, რედ, ჯუღელი, ცერცვაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2014, გვ. 56.

⁸⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ *Harry N. Schreiber the state and freedom of contract*, 1998, 1; მითითებულია - შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(23)09, თბილისი, 2009, 45.

⁸⁹ *გორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ.168.

თავისუფალი საქმიანობის სტაბილური და უსაფრთხო უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევა.⁹⁰

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხეების სადავო ქმედებებს სააგენტო აფასებს სწორედ მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებებთან მიმართებაში. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა აღნიშნული სადავო ქმედებები კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით. ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ერთი მხრივ, მთლიანად კანონითა და მეორე მხრივ, კანონის მე-7 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში, სააგენტო, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება“. თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.⁹¹ საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.⁹²

⁹⁰ იქვე, გვ. 167-168.

⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება გვ. 6, § 1 და შემდგომი.

⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ.11-12, § 2-3.

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს.⁹³ კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან.^{94/95}

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი, ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

სწორედ ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლით დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ბაზარს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებით კონკურენციის საწინააღმდეგო შეზღუდვისაგან. მსგავსი ეფექტისა თუ შედეგის ქმედება კი შესაძლოა გამოიხატებოდეს კონკურენციის შემზღუდველი სახელშეკრულებო დათქმის/ხელშეკრულების დადებაში, რაც უდავოდ ზღუდავს კონკრეტული სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შესაბამისად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ხდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის რაიმე ფორმით შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა იგი უდავოდ უნდა შეფასდეს კანონის მე-7 მუხლთან მიმართებაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო ნებისმიერი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმებული ქმედებისათვის აწესებს აკრძალვებს. ამდენად, ხელშეკრულების

⁹³ სააგენტოს თავმჯდომარის N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სადაზღვეო კომპანია უნიონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე. გვ. 27-28.

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ. 12, § 5.

⁹⁵ იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 თებერვლის N04/44 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 19 აპრილის N04/111 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე).

თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულების დადების გამამართლებელ საფუძველს, ვინაიდან კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. შესაბამისად, სააგენტო განმარტავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების შეფასებისას არარელევანტურია ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპზე აპელირება.

სააგენტო დამატებით განმარტავს, რომ თავისთავად ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების დადება აპრიორი არ წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას, თუმცა, ამგვარმა შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. შესაბამისად, სააგენტო ყოველი „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი ხელშეკრულების შეფასებისას კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით, აფასებს თუ რამდენად ქმნის საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა ანდა ბაზარზე მოქმედი/პოტენციური ეკონომიკური აგენტების საბაზრო ინტერესების იმგვარი დაზარალების საფრთხეს, რასაც მიზნად აქვს ან გამოიწვევს ბაზრის შეზღუდვას ან ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირებას, ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას, მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასა და სხვა.

3.2. „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები

კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - TFEU) 101-ე მუხლში მოცემულ ქმედებათა ნუსხასთან. ამდენად, კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ აკრძალულ ქმედებათა შემადგენლობების განმარტებისას, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტო ხელმძღვანელობს TFEU 101-ე მუხლთან მიმართებაში ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკითა და მიდგომებით. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით.

როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე მუხლი პირდაპირ მითითებას არ შეიცავენ კანონსაწინააღმდეგო ექსკლუზიური მიწოდების/მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, თუმცა, დასახელებულ ნორმებში პირდაპირი მითითებაა ბაზარზე შესვლის შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტების მიხედვით, აკრძალულია „წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა“.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ბაზრის შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ქმედებებისა თუ მეთოდების საშუალებით. ბაზრის შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას კი წარმოადგენს ისეთი ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება, რომელსაც კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი ან მიზანი გააჩნია - ე.წ. „Exclusive dealing“. ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული.

მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი გამოვლინებაა, თავად ამ ურთიერთობის ფარგლებშიც არის შესაძლებელი სხვადასხვა ფორმისა თუ შინაარსის კოორდინაციაზე საუბარი. პრაქტიკაში, როგორც წესი, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ცალკეული პროდუქტის/მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება, რომელთა საბაზრო მოთხოვნილებები, მიზნები და ამოცანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კომერციული ურთიერთობების სწორედ ასეთი მრავალფეროვნება განაპირობებს ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის რამდენიმე სპეციალური ფორმის არსებობას. ამ მრავალფეროვნების შედეგია ასევე ის, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის ფორმების სრულად იდენტიფიცირება და შესაბამისი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის, როგორც სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ანალიზისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, დაკონკრეტდეს ექსკლუზიური ურთიერთობის სახე. ევროკავშირის სამართალი და პრაქტიკა გამოყოფს ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმებების შემდეგ სახეებს: ექსკლუზიური მიწოდება („Exclusive supply“), ექსკლუზიური დისტრიბუცია („Exclusive distribution“), შერჩევითი დისტრიბუცია („Selective distribution“), მომხმარებლის ექსკლუზიური განაწილება („Exclusive customer allocation“) და სხვა.

კომისიის შეტყობინება ვერტიკალური შეზღუდვების სახელმძღვანელო მითითებების შესახებ⁹⁶ კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური სახის ერთ-ერთ შეთანხმებად სხვა ფორმებთან ერთად მოიაზრებს „ექსკლუზიური მიწოდების“ შეთანხმებას („Exclusive supply“). ექსკლუზიური მიწოდების ცნებაში შედის ის შეთანხმებები, რომელთა ძირითადი ელემენტია ის, რომ მიმწოდებელი ვალდებულია ან იძულებულია მიყიდოს კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქტები/მომსახურება მხოლოდ ან ძირითადად ერთ მყიდველს, ზოგადი ან კონკრეტული გამოყენებისთვის. ეს შეიძლება იყოს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ფორმა, რომელიც ზღუდავს მიმწოდებელს მიყიდოს მხოლოდ ერთ მყიდველს ხელახალი გაყიდვის ან კონკრეტული გამოყენების მიზნით.⁹⁷

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება („Exclusive supply“) გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებული ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი

⁹⁶ Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29>.

⁹⁷ Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, პარა 192; იხ. ასევე: Communication from the Commission COMMISSION NOTICE Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, პარა 321, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52022XC0630%2801%29>.

შეთანხმებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს.⁹⁸ ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში სხვადასხვა შინაარსითა თუ ფორმით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული, შესაბამისად განსხვავებულია მათი ეფექტი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე.

ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის ვალდებულების არსებობა. კანონის მე-7 მუხლისთვის რელევანტური „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის არსებობისათვის საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზებისას კონცენტრირებას პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემძენზე აკეთებს.⁹⁹

როგორც წესი, ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების მოთხოვნა/მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით ყალიბდება. ასეთი ხელშეკრულების ის ნაწილი თუ პუნქტი, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან მომსახურების ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახელით არის ცნობილი.

კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა ცალკეულ სუბიექტებს შორის შესაძლებელია როგორც ხელშეკრულების, ასევე შეთანხმებული ქმედებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის (სხვა კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებთან ერთად) საკმარისია სახეზე იყოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კოორდინაციის ფორმათაგან (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება) ერთ-ერთი მაინც.

ხშირად, პრაქტიკაში, ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული დათქმები, ნორმები თუ შეთანხმებები არსებობს არა განყენებულად, არამედ ცალკეულ ხელშეკრულებასა თუ გადაწყვეტილებაში არის ინკორპორირებული. ასეთი ხელშეკრულება და გადაწყვეტილება, როგორც წესი, ცალკეულ კომერციულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევა არა მთლიანი ხელშეკრულება ან გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მომწესრიგებელი დათქმები და ნორმები.

შესაბამისად, ცალკეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა მთლიან ხელშეკრულებას არ აქცევს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, არამედ, ამ

⁹⁸ Communication from the Commission notice Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, §321.

⁹⁹ იქვე.

შემთხვევაში თვითონ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფაქტობრივ მოცემულობას.

აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს არა მთლიანი გადაწყვეტილების, ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების შინაარსის კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასებას, არამედ ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში ფასდება მხოლოდ ის ნორმები და დათქმები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებს ქმნიან, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს სხვა მუხლებისა თუ დათქმების (მათ შორის, იმ პირობების, რომლებიც „ექსკლუზივთან“ დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს აწესრიგებენ) სრულ იგნორირებას, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა რელევანტური გარემოებების კონტექსტუალური შეფასება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვეთისათვის ხელშემწყობი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, მოცემული საქმის შეფასების ფარგლებში, სადავო ხელშეკრულების განხილვისას, სააგენტო, ყურადღებას გაამახვილებს „ექსკლუზიური დათქმის“ შემცველ მუხლზე/პუნქტზე, თუმცაღა, აღნიშნული დათქმის მოცულობის, ფარგლებისა და სხვა რელევანტური გარემოებების დასადგენად (რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დათქმის კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის შეფასებას) აგრეთვე, ყურადღებას გაამახვილებს სადავო ხელშეკრულების შესაბამის ნორმებზეც.

3.3. შპს „ზუნდაგსა“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის ურთიერთობის სავარაუდო ექსკლუზიური ხასიათი

როგორც მომჩივანი მიუთითებდა 2024 წლის 01 თებერვალს შპს „ზუნდაგსა“ და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ურთიერთობა სტანდარტულად დარეგულირებულია კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებით, უფრო ზუსტად მხარეთა შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს საიჯარო ურთიერთობებს, განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზეც.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქმის მოკვლევის პროცესში, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ზემოხსენებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. კერძოდ, სსიპ საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად, მოპასუხე სუბიექტებს შორის 2025 წლის 15 აპრილს საიჯარო ხელშეკრულება შეწყდა.

მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების ანალიზისას, მოკვლევის ინტერესებისა და სადავო გარემოებების შეფასების მიზნებისათვის, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების საგანზე, ე.წ. „*ექსკლუზიური მიწოდების*“ პირობის შინაარსსა და ამ პირობასთან/დათქმასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობების შემცველ მუხლებზე.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ მოპასუხეებს შორის 2024 წლის 01 თებერვალს დადებულია იჯარის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მეიჯარე, იჯარის საფუძველზე, მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცემს 480.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 441.48 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ფართის უძრავ ქონებას. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის/ვადამდე შეწყვეტის მარეგულირებელ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მასში გაწერილი ორი პუნქტი არის ურთიერთსაწინააღმდეგო. კერძოდ, ხელშეკრულების 6.2. პუნქტის თანახმად, „მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ ხელშეკრულება ამ ხელშეკრულების პირობებში“. მეორე მხრივ, ხელშეკრულების 6.7. პუნქტი ადგენს, რომ „იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე სურვილს გამოთქვამს საიჯარო მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ კვლავ თანამშრომლობის გაგრძელებას მეიჯარე ვალდებულია იგივე ვადით, დამატებითი შეთანხმებით, კვლავ გააგრძელოს ხელშეკრულების ვადა“. მაშასადამე, 6.2. პუნქტი მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას, ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ ხელშეკრულება, რაც, ასევე, მოიაზრებს ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის უფლებასაც, ხოლო მეორე მხრივ, ხელშეკრულების 6.7. პუნქტი მეიჯარეს ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის უფლებას ართმევს.

სააგენტოს შეფასებით, სახელშეკრულებო ჩანაწერი, რომლის მიხედვით მეიჯარე, მოიჯარის მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, ვალდებულია იჯარის ხელშეკრულების ხანგრძლივობა იგივე ვადით გააგრძელოს, **თავისი შინაარსით, გულისხმობს მიმწოდებლის (შპს „ზუნდაგის“) ნეგატიურ ვალდებულებას**, მოიჯარის შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ პირს/პირებს, დროებით სარგებლობაში არ გადასცეს ე.წ. მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორია და კვლავ ამ უკანასკნელთან გააგრძელოს საიჯარო ურთიერთობა. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, განსახილველი სახელშეკრულებო დათქმის განმარტებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება - ხსენებული დათქმა შეეხება მხოლოდ **იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადას** და არა ნებისმიერ სხვა სახელშეკრულებო პირობას/პირობებს (მაგალითად, საიჯარო თანხის ოდენობას, რომელზე შეთანხმებაც ხელშეკრულების დასადავად ერთ-ერთი არსებითი პირობაა). ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია მხოლოდ მოიჯარის სურვილის დაფიქსირება, იგივე ვადით გაგრძელდეს საიჯარო ხელშეკრულება, საკმარისი არ იქნება აღნიშნული შედეგის მისაღწევად, რადგან ყოველთვის შესაძლებელია წარმოიშვას (მით უფრო ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის შემდგომ, რაც ხელშეკრულების მოქმედების ვადას შეადგენს) ახალი

არსებითი პირობების (მაგალითად, საიჯარო თანხის ოდენობის ან სხვა) შეთანხმების საჭიროება. აღნიშნულს ამყარებს ის გარემოებაც, რომ იჯარის ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს **მხოლოდ მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების** საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი გარემოება - იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მოიჯარე გამოთქვამს ხელშეკრულების გაგრძელების სურვილს, თუმცა მეიჯარე თავის მხრივ დააფიქსირებს საკუთარ ინტერესს საიჯარო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, ცხადია ხელშეკრულება ვერ იქნება გაგრძელებული რაიმე ვადით (მათ შორის იგივე ვადით), რადგან მხარეები **ცალკე, დამატებით, წერილობით** უნდა შეთანხმდნენ საიჯარო თანხის ოდენობაზეც.

გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ითვალისწინებენ მისი ცალმხრივად შეწყვეტის უფლებასაც მოქმედების ვადის დასრულებამდე (6.4. პუნქტი, 6.5. პუნქტი და მე-10 მუხლი). კერძოდ, ორივე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მისი მოქმედების ვადის (3 წელი) გასვლამდე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში 6.7. პუნქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად და დასაზღვევად არ არის ჩადებული რაიმე სახის კონკრეტული გარანტიები - აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ცალკე არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები, მაგალითად, მიმწოდებლის მიმართ რაიმე სახის სანქციები. საიჯარო ხელშეკრულება მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება მხარეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით (ხელშეკრულების მე-7 მუხლი).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააგენტო დამატებით მიუთითებს შემდეგ გარემოებაზე - 2025 წლის 15 აპრილს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის წერილობით დადებული საიჯარო ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა. მოგვიანებით - 10 აპრილს კომპანია - შპს „აქუამარინ ბათუმთან“ (ს/ნ 445761907) ახალი საიჯარო ხელშეკრულება დაიდო. დღეის მდგომარეობით მოპასუხე ეკონომიკური აგენტი - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ აღარ სარგებლობს მელკიმორიის ბაზრობის ტერიტორიით და არც მის მიერ იმპორტირებული პროდუქტის მიწოდებას აღარ აქვს ადგილი ამავე ტერიტორიაზე მყოფი დახლის წარმომადგენლებისათვის. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ გარდა მოიჯარე კომპანიის (კონტრაჰენტის) ცვლილებისა, აგრეთვე შეწყდა სამეწარმეო ხასიათის კავშირი ძველი და ახალი მოიჯარე კომპანიების მმართველობით სფეროში - კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის (2024 წლის 03 დეკემბრის) ამონაწერის მიხედვით, ახალი მოიჯარე კომპანიის პარტნიორები იყვნენ თორნიკე ვაშაყმაძე (30 %-იანი წილის მესაკუთრე და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ როგორც 67 %-იანი წილის მესაკუთრე, აგრეთვე ერთპიროვნული დირექტორი), ლიკა ცეცხლაძე (30 %-იანი წილის მესაკუთრე და შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ წარმომადგენლის - რამაზ ცეცხლაძის შვილი) და ირაკლი ანსიანი (40%-იანი წილის მესაკუთრე და ამავე კომპანიის დირექტორი). აღნიშნულისგან განსხვავებით - 2025 წლის 28 აპრილის მდგომარეობით, შპს „აქუამარინ ბათუმის“ (ს/ნ 445761907) ერთპიროვნული დირექტორი და 100 %-იანი წილის მესაკუთრე, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,

ირაკლი ანსიანია. შესაბამისად, 2025 წლის აპრილის მდგომარეობით შეიცვალა არა მხოლოდ მოიჯარე კომპანია, არამედ ახალი კომპანიის მმართველობით სფეროში მონაწილე პირებიც. გარდა ამისა, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია შპს „ზუნდაგსა“ და შპს „აქლამარინ ბათუმს“ შორის, აღარ არის გათვალისწინებული 6.7. პუნქტი, რომელიც მხარეთა შორის სავარაუდო ექსკლუზიურ შეთანხმებაზე მიუთითებდა.

სააგენტო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური შინაარსის შეთანხმების არსებობა, მათ შორის, ზეპირი ფორმითაც. აგრეთვე, მოცემული მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ (ასოციაციის მეშვეობით) მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების/გადაწყვეტილებების არსებობის ფაქტი. თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დადგინდა კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელემენტის - მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედების არსებობის ფაქტიც.

თავი VII. შემაჯამებელი სხდომა

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 28-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის 15 სექტემბერს სააგენტოში გაიმართა შემაჯამებელი სხდომა. სხდომას ესწრებოდა მომჩივანი ეკონომიკური აგენტის - შპს „პოსეიდონი 2022“-ის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ შემაჯამებელ სხდომაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ასევე დაბარებულნი იყვნენ მოპასუხე ეკონომიკური აგენტები - შპს „გოლდენ ფიშ ბათუმი“ (ს/ნ: 445734331) და შპს „ზუნდაგი“ (ს/ნ: 245400310). მიუხედავად იმისა, რომ ორივე სუბიექტმა ჩაიბარა შეხვედრაზე დაბარების წერილი, მათი წარმომადგენლები სხდომას არ დაესწრნენ. ამასთან, მათ სააგენტოსთვის გამოუცხადებლობის მიზეზი არ განუმარტავთ.

სხდომაზე მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გააცნო მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელს გადაწყვეტილების პროექტის ძირითადი ასპექტები და შეაფასა არსებული მტკიცებულებებით შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობა. ასევე, მიმოიხილა სააგენტოს მოსაზრებები მომჩივანის მიერ წარმოდგენილ პოზიციაზე. მომჩივანი კომპანიის წარმომადგენელმა წარმოადგინა საკუთარი პოზიციები და მოსაზრებები. გარკვეულ საკითხებთან მიმართებით გაიმართა დისკუსია, სააგენტოს მხრიდან მომჩივანს განემარტა გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ.

კერძოდ, შემაჯამებელ სხდომაზე მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლის მხრიდან სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებული პოზიციის თანახმად - იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ: 445734331) მიერ 2024-2025 წლებში ადგილი ჰქონდა მეღვინეობის ბაზრობის ტერიტორიაზე მყოფი დახლის წარმომადგენლების მიმართ იძულებას მხოლოდ მის მიერ იმპორტირებული თევზის შეძენასთან დაკავშირებით, აღნიშნული გარემოება საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი უნდა ყოფილიყო სააგენტოსთვის იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს დაედგინა კანონის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევა. შემაჯამებელი სხდომის ფარგლებში მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელს არაერთგზის განუმარტა, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით არ დგინდებოდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის, შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა შესაბამის ბაზარზე, რაც თავის მხრივ გამორიცხავდა ამავე მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. რაც შეეხება კანონის მე-7 მუხლს - აღნიშნულ ნორმატიულ შემადგენლობასთან დაკავშირებით მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელს აგრეთვე არაერთჯერადად განუმარტა, რომ მოკვლევის ფარგლებში არ დგინდებოდა ისეთი მტკიცებულების/მტკიცებულებების არსებობა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის დადგენა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის.

შემაჯამებელი სხდომის ფარგლებში, მომჩივანი ეკონომიკური აგენტის წარმომადგენელს დეტალურად განუმარტა კანონის მე-6 და მე-7 მუხლების ნორმატიული წინაპირობების შინაარსი და ის გარემოება, რომ ამავე წინაპირობებზე დაყრდნობით მოცემული მოკვლევის ფარგლებში არ დადგინდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა.

შემაჯამებელი სხდომის ოქმი შესაბამის აუდიო ჩანაწერთან ერთად გაგზავნილ იქნა მომჩივან ეკონომიკურ აგენტთან.¹⁰⁰

¹⁰⁰ სააგენტოს N02/4173 წერილი (15.09.2025).

დასკვნა

კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით:

- მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოში იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული თევზის (დორადო, სიზასი, ორაგული და კალმახი) პირველადი საბითუმო მიწოდების ბაზარზე მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში შპს „გოლდენ ფიშ ბათუმს“ დომინანტური მდგომარეობა არ უკავია.
- სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტის მხრიდან, რომელსაც შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა არ უკავია.

კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით:

- როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლის გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა.
- სააგენტოს მხრიდან, მოცემულ საქმეში, სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმების დადგენისას შეფასებულ იქნა მის ხელთ არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. სააგენტოს მიერ დადგენილ იქნა, რომ საქმეში არსებული რაიმე სახის მტკიცებულებით/მტკიცებულებებით არ დასტურდება ექსკლუზიური შეთანხმების არსებობის ფაქტი მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის.
- შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობებიდან არ არის დაკმაყოფილებული ერთ-ერთი მათგანი - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც მოკვლევის ფარგლებში ვერ იქნება დადასტურებული, უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების სასარგებლოდ.¹⁰¹

¹⁰¹ Case T-442/08, International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) v Commission, [2013], პარაგრაფი 91.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-7 მუხლის, მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. არ დადასტურდეს შპს „გოლდენ ფიშ ბათუმის“ (ს/ნ 445734331) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.
2. არ დადასტურდეს შპს „გოლდენ ფიშ ბათუმისა“ (ს/ნ 445734331) და შპს „ზუნდაგის“ (ს/ნ 245400310) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.